

სახელმწიფო შესყიდვების პროცესში რისკების შეფასების მეთოდოლოგია

მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესში რისკების შეფასების მიზნით შეიმუშავა მეთოდოლოგია. სწორი დაგეგმვა შესყიდვების მთლიანი ციკლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და წარმატებული შესყიდვის ძირითადი წინაპირობაა. ამისგან განსხვავებით, არაკვალიფიციურად წარმართული დაგეგმვის პროცესი აისახება დაგვიანებულ ან/და გადაუდებელ შესყიდვებში, შესყიდვის ობიექტის მიწოდების მოკლე ვადების განსაზღვრაში, სატენდერო დოკუმენტაციის და ხელშეკრულების პირობების ცვლილებებში. შედეგად, არასათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, ხორციელდება რეალურ საქმიანობასთან შეუსაბამო საქონლის თუ მომსახურების მიღება ან/ და შესყიდვა წარმართება შემცირებული კონკურენციის პირობებში, რომლის უკიდურესობასაც არშემდგარი ტენდერი და/ან გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გამარტივებული შესყიდვა წარმოადგენს.

- წარმატებულ შესყიდვას და რისკების აცილებას დიდ წილად კვალიფიციურად წარმართული შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპი განაპირობებს;
- შესყიდვის განხორციელებაზე დახარჯული დრო დადებითად აისახება შესყიდვის ობიექტის მაღალ ხარისხზე და ღირებულებაზე.

შემსყიდველი ორგანიზაცია ახორციელებს მიმწოდებელთა სტრატეგიების შესწავლას, რაც მას აძლევს საშუალებას შეაფასოს ბაზარზე მოქმედ ძირითად მიმწოდებელთა ოპერირების თავისებურებები; მიმწოდებელთა ბაზრის მიახლოებითი წილები; შემსყიდველი ორგანიზაციის, როგორც კლიენტის მნიშვნელობა და მიმწოდებლების გრძელვადიანი მიზნები; მიწოდების ბაზრის ანალიზმა შესაძლებელია მისცეს შემსყიდველ ორგანიზაციას საშუალება მიიღოს ფასეული ინფორმაცია მიმწოდებელთა სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ, იმისათვის, რათა შემდგომ სათანადოდ შემუშავდეს მიმწოდებლების მიმართ წაყენებული მოთხოვნები;

შემსყიდველმა გააუმჯობესოს რისკების მენეჯმენტი, რაც გულისხმობს შესყიდვასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებას და მათი აღმოფხვრის ხერხების გამონახვას. მიწოდების ბაზრის ანალიზმა შესაძლებელია გაწიოს მნიშვნელოვანი დახმარება შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციების შემუშავებაში

შემსყიდველი ორგანიზაციის ინფორმირებულობის დონის ამაღლება, რაც ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა ჩატარდეს მიწოდების ბაზრის შესაძლებლობების შესაბამისი ტენდერი.

მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესში გათვალისწინებული რისკების მინიმალურ დონემდე დაყვანის მიზნით ჩამოაყალიბა რისკების მართვის და შეფასების მეთოდოლოგია. ის შეიცავს 6 ძირითად მიმართულებას:

- ბაზრის სტრუქტურა;
- კონკურენციის პირობები;
- ღირებულების დარიცხვის ჯაჭვი;
- შემცვლელი (ალტერნატიული) საქონელი/მომსახურება;
- შემსყიდველი ორგანიზაციის, როგორც კლიენტის მნიშვნელობა;
- სხვა გარემო ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მიწოდების ბაზარზე.